

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა

26 იანვარი 2015წ.

შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით გამოცხადებულ №1440 კონკურსში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:


_____ იოსებ ბალათურია

სატენდერო კომისიის წევრები:


_____ მარინა ფარცვანია


_____ კობა ხუბუნია


_____ გიორგი ლეკიაშვილი


_____ დავით დოხნაძე


_____ ირაკლი ლომიძე


_____ გიორგი ტაბიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი:


_____ თეონა ცაბუტაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი
 სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს შესყიდვების საკონკურსო კომისიის
 სხდომის ოქმი №2

26 იანვარი 2015წ.

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე *იოსებ ზაღათურია*

სატენდერო კომისიის წევრები: *მარინა ფარცვანია, კობა ხუბუნაია, გიორგი ლეკიაშვილი, დავით დოხნაძე, ირაკლი ლომიძე, გიორგი ტაბიძე*

დღის წესრიგი:

ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №1440 კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა და შეფასება.

განხილვა:

კომისიის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის შესახებ გამოცხადებულ კონკურსში წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „ნს სტუდიო NS STUDIO“-მ და შპს „HMD GROUP“-მა.

	შპს „ნს სტუდიო NS STUDIO“	შპს „HMD GROUP“
საკონკურსო წინადადების ღირებულება	40 000 ლარი	37 750 ლარი
სამშენებლო სამუშაოების ღირებულება	1 500 000 ლარი	1 442 500 ლარი
საპროექტო დოკუმენტაციის დასრულების ვადა ექსპერტიზის გარეშე	50 კალენდარული დღე	45 კალენდარული დღე

აღმოჩნდა, რომ შპს „HMD GROUP“-ს საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავს შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას და საიდენტიფიკაციო კოდს, რის გამოც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის №3 ბრძანებით

დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შპს „HMD GROUP“-ს საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. კომისიას შესაფასებლად დარჩა მხოლოდ ერთი კონკურსანტის - შპს „ნს სტუდიო NS STUDIO“-ს საკონკურსო წინადადება. კომისიის წევრის ირაკლი ლომიძის განცხადებით, შპს „ნს სტუდიო NS STUDIO“-ს ესკიზური პროექტი ვერ ჯდება „იუსტიციის სახლის“ არსებულ კონცეფციაში და რადგანაც საკონკურსო კომისიას არ აქვს სხვა არჩევანის საშუალება და შეიქმნა არაკონკურენტული გარემო, რეკომენდაცია გაუწია კონკურსის შეწყვეტას.

კომისიის თავმჯდომარე დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას და თავის მხრივ აღნიშნა, რომ დისკვალიფიცირებული კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასი, ასევე მისი პროექტის შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე შპს „ნს სტუდიო NS STUDIO“-ს მიერ დაფიქსირებული ანალოგიური მაჩვენებლები და რომ არ მომხდარიყო შპს „HMD GROUP“-ს დისკვალიფიკაცია (წინადადების წარდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გამო), მაშინ მისი პროექტის რეალიზება დაჯდებოდა მნიშვნელოვნად იაფი, ვიდრე შპს „ნს სტუდიო NS STUDIO“-ს პროექტის განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დასაცავად, მართებულია კონკურსის შეწყვეტა.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დაფიქსირებულ პოზიციებს.

დაადგინეს:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოხდეს შპს „HMD GROUP“-ს საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაცია;
- საკონკურსო დოკუმენტაციის 24-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების საფუძველზე შეწყდეს ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული №1440 კონკურსი;
- წერილობით ეცნობოთ კონკურსანტებს კონკურსის შედეგები;
- კონკურსანტების საკონკურსო წინადადებები, წინამდებარე ოქმი და ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-4


მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად გადაეგზავნოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს აღნიშნულ პუნქტში მითითებული ელექტორნული ფოსტის მეშვეობით
ხელმოწერისთანავე.


სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:


_____ იოსებ ბალაურია

სატენდერო კომისიის წევრები:


_____ კობა ხუბუნია


_____ მარინა ფარცვანია


_____ გიორგი ლეკიაშვილი


_____ დავით დოხნაძე


_____ ირაკლი ლომიძე


_____ გიორგი ტაბიძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო



KA012014932805115

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ. ტელ: +(8 32) 749 649; ელ.ფოსტა: nbe@nbe.gov.ge ვებ-გვერდი:
www.nbe.gov.ge

5723

26 / იანვარი / 2015 წ.

შპს „HMD GROUP“-ის დირექტორს ნოდარ
გიორგობიანს

ბატონო ნოდარ,

გაცნობებთ, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2014 წლის 18 დეკემბერს ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №1440 კონკურსში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოხდა თქვენი ორგანიზაციის დისკვალიფიკაცია, რადგანაც საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო შედგენილი ზემოთ ხსენებული ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

იოსებ ბადათურია



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო



KA012006693540015

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ. ტელ: +(8 32) 749 649; ელ.ფოსტა: nbe@nbe.gov.ge ვებ-გვერდი:
www.nbe.gov.ge

5721

26 / იანვარი / 2015 წ.

შპს „ნს სტუდიო NS STUDIO“-ს
ხელმძღვანელს ლუკა ჩაგანავას

ბატონო ლუკა,

გაცნობებთ, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ონის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული №1440 კონკურსი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

იოსებ ბაღათურია